

K 52764

2

ՕՐԱ ՅԱՐՅԵԼՅՈ




ՅԵ

ԿՐԵՄԱՆԴԱՐԱ

ՎԵԿՈ ՅՈՒՆԻ





ՅԱՂԱՎ ՀԵՂՅԱՀԱՐ

კაშისა ვეოველი



კუ

საქართველო

კულტ კულ



84 გრ 7
3 997

ვაჟიყა ფხოველს ომშა იმ დროს მოუსწრო, როცა პირველი ლი-
ტერატურული ნაბიჭი გადადგა. მან სიცოცხლეში მხოლოდ რაზღა-
იძე ლექსი გამოაქვეყნა.

დაიღუპა 1945 წლის გაზაფხულზე.

მისი ლექსების ამ პატარა კრებულში მკითხველი იგრძნობს, რო-
გორ უსაზღვროდ უყვარდა ახალგაზრდა პოეტს სამშობლო და რო-
გორი თავდადებით იძრძოდა მისოვის.

შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო
ვახტანგ გორგანელია

152 764

საქ სამ კ. მარქსის
სახ., ს. ტ რესპ. გ.
პარლიმისტები

საებ-2000
გეორგიეგულია

70403 — 119
3 58 — 86
M 001 (08) — 86

© გამომცემლობა „მერანი“

მე სამშობლოთი ამაყი ვიყავ

მწერალთა კაცირის შენობის ცრც
 ჭედელზე მარჩარილოს ლალაა გაკრიფლი,
 ქომელზეთაც ამოკვეთილია ღიღ საშა-
 მულო ოშში ღალუჩული მწერლების გვა-
 რები, მათ შორის ვაჟიკა ლხოველიცა. ეს,
 რა თქმა უნდა, ღიღი პატივია
 ახალგაზრდა პოეტისათვის, რომელიც
 ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, ხუთიოდე
 ლექსის თაბეჭიდვა თუ მოასწრო მხოლოდ.

ამ მარჩარილოს ღალას როცა ჩავუდიდ
 ხოლმე, სიამაყესთან ერთად სინანულის
 გრძნობაც მეუფლება, რომ ვაჟიკა ლხო-
 ველის ერთი წიგნიც კი არ არის გამო-
 ცემული და თანამედროვე მკითხველი
 მას არ იცნობს.

გულისტიკივილით ვიგონებ სიცრმის
 მეგობარს ჯაჟიკა ლხოველს, კვლავ



თვიალწინ მიღებას მისი სახე და, უკაშებდა
მეონია, საცაა შემომიღებს კარც,
მაგრამ ვაი, რომ ახლა ჩას შინოოსც-
ლელი ჰქონის. არაღა რა არაჩვეულებრი-
ცი ახალგაზრდა იყო, ნიჭიერი, გულმა-
რთალი, უღალატო, პირდაპირი, მუდამ
კარვის შეძიებელი და უშესებულების შემ-
ლასებელი. მასთან საუბრიც რა კაშა-
ოც ერთ რამედ ღირდა. ის რომ ლიტე-
რატურაზე, ისტორიაზე და ენაიმეცნი-
ერებაზე ჩამოაგდებდა სიტყვას, იტყო-
ლი, როდის მოასწორო ამდენი რამის წა-
კიცხაო. ტიფევე ერთი სახარბიცალო
იცისება ჰქონია: გაცცნობილი თუ არა,
მაშინვე თავის ჯავალის ქვეშ მოგი-
ძელებდა, წიგნს შეგაყვარებდა, გზაზე
დაცაცენებდა, ცხოვრისის ავ-კარგიზე
ჩავალიქებდა, კალამს აგარებინებდა
ხელში, ბეჭს სცლიდი: თუ ჰო, ხოშ კა-
რგი; თუ არა, სიტყვის თაყვანისმცემ-
ლებრი ხოშ მაინც დარჩებოდი, ესეც საქ-
შე იყო.

ასე სწამდა: ვინც შემოქმედების
ფასი იცის, ის ცუდ გზას არ დაბდე-
ბაო.

შემოქმედებით პატრობასა და შეჯი-
ბრებაში შეღიოდა ჩივენი სიტყვუკი,
საღ არ ჩივღიოდით, უის ღვერიას არ
ვისწირებოდით, ლიტერატურულ ლონისძიე-



ბას არ უამოვილებდით, ცერა მთას
 იქით რომ ყოფილი ყოვლის, წარიღობდით მაშტაცია
 სულტი ხომ ერთი წუთი ითაცა არ ვჩერდე-
 ბოდით. სულ დესი გვაძეს შემოვადიდ
 ვიდი დაბავ-ევსურეთი. არ დაგვიტო-
 ვებით ტაძარი, ციხე-კოშკი, რომ არ
 გვენახა და არ შემდეს წავლა. ვიწერ-
 ღით ხალხში გაბნეულ ღეგედებს, ვე-
 ლისძველ ამბებს. ამ კეთილ საქმეში
 ბევრი თანამეგრძნობელიც გავიჩინეთ,
 ამან მოგვეცა იმის საშუალება, რომ
 სოფლის ღია ცის ქავში ვმართავდით ლი-
 ტერატურულ საბაზოებს, ცნობილი ნაწა-
 რმოებების გრირების გასამართლებას,
 ვლგამდით პირების... ჩვენი ხელმოკ-
 ლე მშობლების ჟოცემულ კაპიტებს ვა-
 კოწიწებდით და წიგნებს ვფილულობდით,
 კცირაობით თბილისის ჭარბარიძის სახე-
 ლობის საჯარო ბიბლიოთეკის ლიტერატუ-
 რულ წრეში ვიკრიბებოდით და იყო მურ-
 მან ლებანიძის, ოთარ წელიძის, რევაზ
 ჯაბარიძის, ოეიმურავ უანგულაშვილის,
 განტანვ ჭავჭავაძის, ვაჟიკა ფხოველის,
 შალვა ლორჩიძის, ავთანდილ შიშინა-
 შვილის, მერი ჩხევიძის, ალექსანდრე
 კოკაიას, სიმონ შეტერეველის, შალვა
 გლეიძლიშვილის... პირველი სტრიქონებ-
 ის კითხუა-ცანხილვა, პოეტური სიტყ-
 უისათვის დაუნდობელი კაშათი. ვიტე-

რატიულ წრეს მაშინ ხელმძღვანელობა
პოეტი. ალექსანდრე ჭავაძე, რომელიც
იქნად ყურადღებას იჩინდა ასალებათოდა
მწერლების გიმართ. ხალისიან შემოქ-
მეღვით პატერობაში ყალიბლებოდა
ჩიხენი ხელინდელი და ვაჭრას, რომ
მაღვე ომის შავი ლრუბლები შოადგა
ქვეყანას და ჩვენი გზებიც ვაიყარა.
ვაჟიცა ფხოველის უკანასკნელი წერილი
1945 წლის გარსებში გივიან.

ვაჟიცამ ომის ღილი უზა განვლო,
კერძოდ კერძო ურანკულრტამლე გრძო-
ლით მივიღა.

ვაჟიცა ფხოველი ღიმიტრი იოსების
ძე ცალწელიშვილის ღილერატურული ლე-
ცლონიმია. ფიანეთის რაიონის სოფელ
ცაცლიონილან იყო, რომლის მეტობაზ
ხევსურთსოფელია, ჩემი საყვარელი დე-
დუღუთი. აშენისადაც ერთ რაიონში
ცხრილებია; ოცნაშეაზე სკოლაში ის
ცხრილობლა, ოცნამელერთშეტეში - მე.
1940 წელს მე გამირიეს ჭარში,
1941 წელს - ის; იმ ცეცხლსა და
გრიგალებს მე გადავურჩი, ის კი ვერ
ასცდა ციცვლილის მსახურალ ხელს. ეს
ამებში წერილი გამერია, ის კი მარად
ცაცლები დარჩია.

ვაჟიცა ფხოველი აუქსენიშვილის წერა აღ-

რე ლაიტურ, ჭერ კიდევთ მოწარეობის დროს. მისი ჰირიველი თოთო სტრიქონის საბაზიში უკრნალ „ოქტომბრელი“ გამოქვეყნდა, ჭერე - გარეთ „ნორჩი ლენინელი“. ერთი აუქსი „ვებატონი პატიმალი“ უკრნალ „ჩვენ თაობაში“ ღაისტამბა. იგი თანდათან მიიკვლევდა გზას, მაცრავ... მე ახლაც ზეტირად მახსოვს მისი ლექსების სტრიქონები.

„შე გადაიხარა, დაგრძელდნენ განით
გაულილ მწვანეზე ჩრდილები ხეთა,
ვით პომპეუსი, სალამოს უაში
მტკვარის ხეობით ჩოადგა მცხეთას“.

„ლამე იყო, მთას ეხურა ბინდი,
ნისლი იწვა საბადურის ველზე.
ლრუბლიან ცას მთვარე, როგორც მშვილდი,
ლრულებს შივნით ეხვეოდა ყელზე“.

ბევრი ასეთი გულში ჩამიწლი სტრიქონით იყო ღამშვენებული ციციკვა ლეო-
ცელის სიცოცხლით საჯაშვილის ცემოქედვება, მაგრამ, ცაგდას, რომ შისი ლექსების
აიდი ნაწილი ღამიცარება, განსაკუთრებ-
ით, უკანასკნელი წლებისას, საღამო ნა-
მდვილად იგრძნობოდა მისი პოციური სი-
ტუბის ძალა, ცხოვრებიაში ღრმა წელი-
ება, ჯანსაღი სოლი ღა ნაცელი უორგება.
რამდენიმე წელიც, ცაშიცა ლეოპოდის
ლექსებს ღავერებს, როგორც იქნა, ორ-



ଶିଳ୍ପିର ଅନ୍ତରେ କାହାର ମଧ୍ୟରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

ახლა, როცა ღიღი სამამულო იმის
ორმოცვი წევისთავი აღჭინიშნეთ, შინმო-
უსველელი პოეტის წიგნის გამოსცელ
ბერივებინიცით ლალგება თავს მის სა-
წელს. უაშიცა ფხოველს მუქამ ეამაყე-
ბოდა სამილიანი, მის წიგნსაც ასე ღა-
ვარეთ „მე სამშობლოთი ამაუი ლიცა“.

ვართანგ გორგანედი.

გამარჯვების გარი გრგვინავს

არ იქნება გმირთა საქმე
საუკუნოდ არ გვახსოვდეს.
ვინც დაეცა საქშობლოსთვის,
არ მოკვდება არასოდეს.

ჩვენ იმ გმირთა საღიდებლად,
შესამუსრად ჯალათების,
უკუქუჭეულ დუშმანს ვუტევთ
გრძოლის ცეცხლით ანანთები.

აქ იბრძვიან, ვისაც გულში
გრძოლის ცეცხლი გაუღვივდა,
შორს, ტუნდრების ბინადარნი
თუ მოსულნი აულიდან.

აქ იბრძვიან მხოლოდ გმირნი,
გულს არ უკრთობთ ქარ-წვიმები,
აქ იბრძვიან ჩვენი ქვეყნის
უძლეველი არწივები.

ჩვენს მშობლიურ მიწა-წყალზე,
ვერაგ მტერთა დასაქოლად,
გამარჯვების ზარი გრგვინავს
მთელ ქალაქოს გასაგონად.

ფ რ ი ნ ტ მ ი

დრომ დაჰკრა,

კალმის შეცვლა შაშხანით
ახლა არც პოეტს ღაებულება.
იქ, სადაც დუშმანს უტევს ლაშქარი,
შენი ლექსებიც დადგნენ მხედრებად.

და თუ გმირულად სამარე ჰეპოვე,
გამარჯვების დღეს ვერ შეესწრები,
გაგაცოცხლებენ ჭვლავ ისევ პოეტს
ომგადანდილი შენი ლექსები.

შენ სამშობლოთი ამაყობ მუდამ,
დღეს გიყვარს ისე, როგორც აროდეს
და სიყვარულიც ასეთი უნდა -
კვდებოდე მისთვის და არ ნანობდე.

შენ გაიმარჯვებ მიზანით სწორით
და ივალალებს დღენი ნაციზმის...
მიჰკივი მტარვალს და ძმათა შორის
გაუჩიარავი შენი ხმაც ისმის.

და თუ გმირულად სამარე ჰეპოვე,
გამარჯვების დღეს ვერ შეესწრები,
გაგაცოცხლებენ ჭვლავ ისევ პოეტს
ომგადანდილი შენი ლექსები.

გაფრინდი, ჩემო არწივო!

ჩემო ფოლადის არწივო,
 არ გინდა ხვეწნა, შუდარა,
 მებრძოლის გულის საამოდ,
 ვიცი, მზადა ხარ მუდამა.
 იმ დღეს ბერლინი მაჩვენე,
 გუშინ დანციგის კარები.
 ვა, მტარვალის იმ ადგილს,
 სადაც შენ გაეკარები.

როცა გულდაგულ მხრებს გაშლი,
 როცა მტრის სივრცეს დალახავ,
 შენი ლრუბლებში თარეში
 ნეტავი თბილისს ანაწვა.

შენი გზა-კვალის მლოცავი
 ცლულუნებ, როგორც ქედანი,
 მტარვალზე გამარჯვებული
 შენი ერთგული მხედარი.
 მაშ გასწი, გაინაცარდე,
 გაფრინდი, ჩემო არწივო,
 საშშობლოს დროშა გაშლილი
 რომ უფრო მაღლა ავწიოთ.

წერილი ფრონტიზან

ასე მგონია, დაგტოვე გუშინ,
ასე მგონია, ჩემთან ხარ დღესაც.
მე შენს სიყვარულს ვინახავ გულში
და მწამს, ვერც გაძლებ ჩემსავით
ვერსად.

დღეს ჩემი სატრფო ტყვიამფრქვევია,
ეს ბრძოლის ველი - წვა და ტრფიბლი.
ტყვიას მტრის გული დაუხევია
და დაფლეთილი გდია ტირალი.

მტერის ვაჟკაცულად უნდა დახვედრა,
ხალხის მტარვალებს - ცეცხლით პასუხი.

ათასი გული ერთად ამხედრდა,
ათასი გული ერთ სიტყვას უცდის.

უცდის შამულის მეხივით ქუჩილს
და მერე ასე ერთივით დგება.

მწამს, შეიცვლება სინათლით მწუხრი,
ჩვენი იქნება, მწამს გამარჯვება.

ჭიათურა პარტიისნი


მოგძელებია თუმც თმაში ცერცხლი,
შეწ პარტიზანის ატარებ სახელს.
შურისძიებამ მოგვიდა ცეცხლი
და სხვებთან ერთად ბრძოლაში გასველ.

წაზველ, წაიღე სიცოცხლე ფიცად,
ჭულში გმირული გრძნობები დარჩე.
შენ კარგად იცი, მშობლიურ მიწას
ერთი მოხუცის მარჯვენაც არგებს.

დატოვე სახლი, დათმე ოჯახი,
ღაემშვიდობე ძვირფას პატარებს.
რა როგორც ღილი სარდლის მოძახილს,
ახლა იმ წუთებს გულით ატარებ.

როცა აქუხდა ბრძოლის ნაღარა,
დუშმანისა ზიზღი არ გაპატია.
აღექ და ერთ დლეს კაცი ჭიათურა
ძმალ გაეფიცე მამაც ბატიას.

-- -- - - -
I) ბატია - ჭალინინის ლრონტის პარ-
ტიზანთა შეოცაური.



პარტიზანული ცეცხლის ნაკადი
მთა-ველს მოედო მტრის წასალეპარაზე
ჩაქრა ალივით მტრის დანაქალი
ღა გამარჯვების ზარმაც ღარეცა.

ეს გული ცეცხლის გზაში ვერ დაღალა,
ჟარჩა მტრისაგან შეულაწველი
შარად უპოდაჭი შენი ჟაღარა,
დაუვიწყარი შენი სახელი.

ამ ღიად ტრანზას, ღლებ თუ ლამე,
არ ეკიდება ხავსი ღა ობი.
ამიტომ არის, რომ ასეთ მამებს
ჰყვანანან შვილებიც მშობლებზე მკაბნი.

მხატვარი პალიმარი

ღამეა, ღუმილს კაცივით სძინავს,
ღალლილს, ღავრდომილს ღა უპატუჩებს.
აქ უშოვნია შავ ღამეს ბინა
ღა შეფარვია ლონდონის ქუჩებს.

ღილეგში ვილაც ბელალის სახელს
ახსენებს, მღერის ღა ხატავს ცხადად.
ხატავს მზესავით უქრობელ სახეს
ღა ქვეყანაზე პირველ კაცს ხატავს.



ამ მზეს ხატავდა, ამ მზისთვის
სტანჯეს,
გული ამ მზისთვის დაიცალა.
თუმცა დაეცნენ თავს რისხვად, ასჯერ
აწაშეს, შაგრძამ მაინც ამაორ.

ბნელა საკანში და ახლაც იმ მზეს
აუვდება, ფანქრით უერებში ახვევს
და ბნელით მოცულ ჰელების ჭიშკე
ანათებს მისი უპვდავი სახე.

საქართველო

როცა მტრის ხელად ჩავარდნილხარ
მუდამ მტრიანი,
შენ, საქართველოვ, იწყევლიდი თავის
ღასაბამს.

შენი გმირების ღაულეველ

თავისადასავალს სისწლით
სისწლით წერდა
მემატიანი.

შენ თავს იცავდი მტარებალთაგან
ციხურაცურ გარჯით,
ღასაბამიდან სიშაშაცე გფარავდა
მხოლოდ.

შეინარჩუნე გმირულ ბრძოლით სიცოცხლე
ბოლოს
და ქვეყანაზე გამარჯვების სიმბოლოდ
დარჩი.

ბევრჯერ დამარცხდი და დაგტოვა
მტერმა ვნებული.
უკანასკნელად დაიჩოქე კრწანისის
ველზე,
მაგრამ შენ მაინც გამოხვედი
გამარჯვებული.

გამარჯვებულმა გმირთაგმირმა
მრავალჯერ მტერზე
ეს გამარჯვება მთელი ქვეყნის
ნალჩებს აჩვენა
და მიტომ შეგვრჩა სალმად სიტყვა
ჩვენც „გამარჯვება“;

†

ვეღს ზაფულა სიმწვანე,
 ამობიბინდნენ იანი.
 ცამ ცისალტყელა გაფიკრა,
 კალთა დაბერტყა ცვრიანი.

მიწას სამოსი ამშვენებს,
 ჟრელი ღა მრავალფერადი,
 გთებს - გაზაფხულის სინაზე,
 მსოფლიოს - დიდი ბელადი.

სიმღერა

სამშობლოს ვეღო, მინდორო,
 სამშობლოს ღღეო, მზიანო,
 სიცოცხლე როგორ ვინდომო,
 მტერმა რომ ღაგაზიანოს.
 ცათამდის ამაღლებულხარ
 შენი ახალის ფერითა;
 არაგვის ცეცხლით გამთბარო,
 ხელში სინათლის ჭერითა.

საღ არის ვაჟა-ლშაველა,
 კიდევ ღაგატბოს მღერითა.
 გახაროს, თითონც ისაროს
 ღერასამშობლოს ცქერითა.

საქ. სა 1. 8
 სახ. 1. 10 6
 ბაბ. 1. 11 7

ჩვენ ქიშპობას და სიძულვილს ვძლიერ,
გვახარებს სიტყბო მშობლიურ მიწის.
ჩვენ დილა გვიყვარს ლამეზე ძლიერ
და განთიადის ფერებით ჭირვით.
დაუშრეტელი ცხლვრების წყარო
სულს ციხარულის აღმურით ტვირთავს,
მართლაც ურთერთით აშკვეყნად ვხარობთ.
კუბოს კარამდის ვიხაროთ, გვინდა.
შას არასოდეს ექნება ბზარი,
ჭერას დააკლებს ცრემლი და დარღი,
წმინდაა, როგორც რუსთველის აზრი
და გაფურჩქნილი მაისის ვარდი.
ლალია, როგორც დღეები ჩვენი
და საბჭოეთის გმირივით შტკიცე.
შარად ტრონბის და ალერსის მჩენი
მკერდქვეშ ჭანმაგარ კუნთივით
გვიცემს.

არ მოვდგამს ჭიშად ბრძოლაში დაღლა
და უსირცხვილოდ გატეხა ფიცის.
ჩვენ მეგობრობა გვწინამძღვრობს ახლა
და დღეგრძელობა გვაღლალებს მისი.
შევხარით შხარეს ამ მზიურ დღეთა,
ტკბილჭაბუკობის წუთებს რომ თაოლავს
და საქმით ნაცად თითეულ მხედარს
გამზრდელის ფრა და სიმხნევე ახლავს.



მიდიან დღენი, დღე დღეს არ უცდიც,
ასე მრავალი წლები იცლიან.
ტკრილია ჩვენი ყოველი წუთი
და მეგობრობაც ჩვენი ტკბილია.
და თუ საკუთარ თავზედაც ძლიერ
გვიყვარს დიდება შშობლიურ მიწის.
ჩვენ ქიშპობას და სიძულვილს ვძლიერ
და ჩვენი ქვეყნის ტრფიალით ვიწვით.

დიდა მთაში

მთებს დაბჯენია ლურჯი ცა,
მიობამოს ქუდად ჰეთურია;
ძირს უნდა თითქოს ჩამოსვლა,
ალბათ არაგვი სწყურია.
ხევი ჰქუხს, ველი ბანს აძლევს,
კლდე ღელვით გათანგულია,
აშლილან დილის ნისლები,
მთის მაღალ სერებს უვლიან.
ძირს მშვიდი არის ფხოვეთი,
ჰშვენის სიმწვანე, მინდორი.
სულ იყავ ასე ლაშაზი,
აშქვეყნად სწვა რა ვინდომო!
აყვავდი აყვავებული;
გულ-ჟკერდს გიშვენებს ველია,
შენგნით დამტკბარი ვაჟები
შენზე სიმღერებს მღერიან.

მარად ბეღნიერ მშრომელთა გულში
უქრობ მზესავით ლუივის, ანთია -
დაუჭირნობელი, დაუმრობელი
გამარჯვებული ქვეყნის ქარტია.
შუდამ იქნება, როგორც ახალი
დაუჭირნობელი წლილან წლებაშედე.
საუკუნენი შეინახავენ
გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.

ვიარა

დღეს საპრჩევნო უბანში
სიომ თმა შეგიშრიალა.
ხელში ბარათი გეჭირია
შენსავით ნაზი, შრიალა.
ყუთის წინ იდექ ამაყად
გევიდი, ლალი და ცერიალა.
ხმას ხალხის რჩეულს აძლევდი
შავთვალა გოგო ციალა.
ღიში გიკრთოდა ტუჩებზე
და სიმამაცე გშვენოდა,
მილიონების მობანედ
ეგ შენი გულიც მღეროდა.

იდია და ცაჲა

არწივს ესტუმრა არწივი,
 მთით ჩამოსული ბარადა.
 ხურჯინით ჩამოიტანა
 მთელი ფხოვეთის ბარაქა.

დაუშრეტელი მარაგი,
 ქართული სიტყვის ღიღება.
 შთათა გულ-შკერდის ნაული,
 ულეველ შარგალიტებად.

წიამოდგა, კითხვა ღაიწყო,
 ბეჭიზე ჟრილობა სტკიოდა.
 სიტყვები ზვავად მოსული
 ვარსკვლავებივით სცვიოდა.

უსმენდა ფიქრთა მპურობელი
 და ნეტარებით ტკბებოდა.
 ცაჲას უკვდავი ქართული
 გულზე შალამოდ წვდებოდა.

მერე შეწყდება კითხვა ღა
 სიტყვის მთასავით გორება.
 ორი ძმასავით შეზრდილი
 ერთმანეთს ეამბორება.

ღატებება გული მასპინძლის,
 სტუმრის გრძნობა და უონება.
 აღგება ბარის არწივი,
 მთის არწივს ჩაეკონება.

ფ ხ ვ ა თ ი

1. საფინო

შემოღამდება ღა ბნელს სინათლე,
 არავინ იცის, სტუმრად რად იხსინს.
 რჩებათ აუსსნეთ ამბად იმათვე
 ღა საკამათოდ შეყრილთ საფინოს.
 ზოგი ღმერთს სწაშებს, ამის მიზეზი
 ზოგს კი გულანი უფრო ჰგონია.
 რაღან სისწორე არავის ესმის,
 მათთვის ორივე აზრი სწორია.
 არ უჯერიან შნოლოდ ახლუები
 ღა ჭიუტობენ: როგორ იქნება,
 ამ საუფლობი ეს არ მაჟსდების,
 თუ გაქვთ ოდნავი ჭიკვა ღა მიგნება.
 რა შუაშია ღმერთი, გულანი,
 რა შუაშია მათი ხსენება.
 კმარა ხატ-ღმერთის ხვეწნა, მუღარა
 ღა ღამეების თეთრად თენება.

სიტყვას ამოსდევს რისხვა და ზიშკა
სიტყვებს ელვა და ცეცხლი უჩნდება.
„უნდ დაიღვაროს მაგათი სისხლი“,
დიღაც ხმას იღებს, ვიღაც ურჩდება.
რამოიჭრება მაღალ-მაღალი,
ცხრაგან დაჭრილი და ნატყვიარი.
ატყდება ერთი აყალმაყალი
და საფიხნოში ხანჯლის ტრიალი.
-სდექ! - ხალხი ურჩევს. - ხუარასნეო
დაშნით

ვერაფერს გახვალ, იბრძოლო თუნდაც.
ახლებს სიახლე ასარებთ მთაში,
ახლებს ახალი ცხოვრება უნდათ.
თუმც შეურაცხყვეს ღმერთი ამრიგად
და რისხვა დასცეს. თავზე ხატიონს,
ხალხი მოითწოვს, მაინც აბიკამ
დასტომოს ისევე და აპატიოს.
გული უცემდათ მრჩეველ მთხოვნელებს
(რა უსიამო ამბავი ძოხდა).
ღმერთი გაუწყრათ, ალბათ, ფხოველებს,
იფიქრა გულში და გულიც მოკვდა.
მერე შეჩერდა ეღდანაკრავი,
გრძაზმორეულმა გულს მჯიღი იცა.
დამარცხებულმა დახარი თავი.
და უიშეღოდ დაეცა მიწას.

თითქოს გამკრთალდა ღამეც კამათში,
როგორც სიმწვანე ზოგჯერ მთებისა,
მერე წამოდგა ერთი იშპათში
და ხალხს უსურვა ძილინებისა.

2. ფროვეთის დაბადება

როცა სამშობლოს შესწირავოი გაზრდილ
არწივებს,
ის მოიგონე, ის გმირები - ცად
გამცირარნი.

თორემ ვინ გყავდა სხვა შენ გულის
შეძატუარი,
ბრძოლით უძლებლი ვაჟუალების მხარე
ქარ-წვიმებს.

გაფიდა ღრო და ისტორიას შეკრჩა
ამბებად,
შენი გაზრდილი მამაცების ნაამაგარი.
არაგველების წაუშლელი ღვაწლიც აქ
არის,
და ის, როგორც დღე, არასოდეს
დაიკარგება.

დღეს სხვა ღრო დალგა, - საუკუნე
დიალ ლენინის,
ახალ სამშობლოს უფრო ლალალ ეტრუის
ძითელი -
ბრძოლის ქარ-ცეცხლში გამოწოდილი
სულით ძლიერი
და არწივივით ჭიუხიდან გაღმოვრენილი.

3. ფ ს მ ა ღ ი ბ ი

მთებში რისხვად მოვლენილი ღრო
წავიდა,
მგლის ლეპივით გაჟებუა წესი
წარმართული,
და ღღეს, როგორც ვეფხვნი წელში
გამართული,
ფხოველები ჩამოდიან ორწყალიდან.

დღესაც ბევრი საზღვარზე ღვას
ვაჟკაცირად,
მშობელ ქვეყნის ღასაცავად წამოსული.
ხარობს ქიზა ყვავილების ამო სუნით,
ხარობს ხალხი, რომ ქვემ ცაზე
ამოსცურა.

როცა ღგება ნისლის ბლონდში დიდი
მთები,
ნაზი სიო სტუმარივით მოვა ღილით,
ხევში ავტო, თბილისიდან მოვარდნილი,
ქვეყნის ამბავს შემოიტანს გაზეთებით.

მთებში რისხვად მოვლენილი ღრო
წავიდა,
მგლის ლეპივით გაჟებუა წესი
წარმართული
და ღღეს, როგორც ვეფხვი წელში
გამართული,
მთის ხევსურიც ამ ღღეს უმღერს
ორწყალიდან.

4. მოხუცის სიმღერა

ჩიტებივით ანაფრენი
 ეფინება ველებს
 მთებში სტუმრად შემოსული
 ციცი თოვლის ფიფქი.
 ირგვლივ ზამთრის თეთრი ფარჩა
 ალამაზებს სერებს,
 ლალი სიო ზედ ლალ გულით
 აშარივით მიჰქერის.
 სახლში თბილა და ბუჩართან
 ფანდურს უკრავს, მღერის,
 როგორ სდუმდეს, როცა გული
 სიხარულს ვერ მალავს.
 ვინ დასთვალოს, რაც გრძოლის წინ
 დაუცია მტერი
 და ბეჭადთან შთის ხევსური
 არწივივივით მდგარა.
 ღრო წავიდა, მოწუცებულს
 ჭალარა თმა შვენის,
 ახალ ღხოვში ჭაბუკობა
 და გმირობა უნდა.
 ზის კერის წინ და ფანდურით
 ხელში ანამღერი

ამ სიმღერით მიღის მოძმის
ამღერებულ გულთან.
ჩანს სამშობლო წევსურისა
დათოვლილი მთებით,
კლდეებს შორის სხვა ეშხი დგას,
სხვა სიაშის განცდა.
ცელქმა სიომ შეარხია
ხეზე თოვლის თმები
და მოხუცის ფანდურის ხმა
შორს, შორს გაიტაცა.

1938 წ.

სამნი ვართ

სამნი ვართ: სამშობლო, მე და შენ,
სამივეს ერთი დღე გვხვდა წილად.
შემრჩი მე, სამშობლოს, ღერაშენს
სივრცეში ვაფრენილ არწივებად.
ერთად ვართ, ერთადვე ვიზარდეთ,
გვალხენდა ჰარიარის იწოვეთი.
ეიველით დანიშნულ მიზნამდე
შეხ და მე - დღეს უკვე პოეტი.
დღეს ყოფა ფხოვეთში სხვა არი,
სხვაგვარად მიღის ღრო მთაშიაც.
ახლების გული ხომ ზღვა არი,
ჟველანი შენსაფით ცდაშია.
სამნი ვართ: სამშობლო, მე და შენ,

სამივეს ერთი დღე გვხვდა წილად.
შევრჩი მე ფხოვეთს და ღეღაშენს არის მუსიკის
სივრცეში გაფრენილ არწივად.



1940 წ.

დ ი დ ა

დღემ ფხოვეთში .ბნელი დასცა,
ამ გულივით ცეც სულობ.
მზე ქალივით მოიტაცა
და შიგ მკერდში ჩაიხურა.

+

მზე, ხმელეთის ფალავანი,
ბნელს დაეცა თავზე შეხად.
ბანტრიონის გალავანი
თენებისას გადმოტეხა.

შემოვიდა, როგორც გმირი,
შემოალო კარი ფრთხილად
და მთებში ომგარახფილი
არაგვს გაჰყვა ბარში ღილა.

1939 წ.

გათენდა ღა სიო ქროდა,
შთებზე სწერდა ღრუბლის ფარჩა.
ფხოვეთშილა მომაგონდა,
თბილისი რომ უკან დარჩა.

გავარდნილი აფთარივით
გზას თოკივით კეცდა ავტო
ღა გზის რტვერი ავარდნილი
უკან კვამლად იდგა ამ დროს.

ლალ ბუნების სილამაზე
ლეგა ფერის ნეპერივით
მთებს შვენოდათ კაბა ტანზე
გაზაფხულის შეპერილი.

თოვლი მთებმაც დაითხოვეს,
გაჟპარვოდა ზამთარს სული.
ლხინი ჰქონდა ახალ ფხოვეთს
და მეჯლისი ხევსურული.

აღმაშენდებ ყაგიძეგვ

შენ, მყინვარწვერის არწივო,
 ცას მოგლეჯილო მთვარეო,
 თერგი მოგძახის ხევშია,
 ცარდს გიშლის არე მარეო.
 აღსდექ, იხილე სამშობლო,
 შენი ელგუჯას მხარეო,
 გულს ჯუვრი გადაიყარე,
 დღეს შაინც გაიხარეო.
 აუსი ქართველის ძმა გახდა,
 ფარ-ხძალი აიყარეო.

უთხარი ვაჟა-ფშაველას,
 გულს ნუ იხოჭავს, ტიბალი,
 დღეს წალმა შემოტრიალდა
 სოფლის უკუღმა ტრიალი.

რაც უნდა ლესოს მახვილი,
 ჰერას დაგვაკლებს მტერია,
 შენს მოდგჩას გადაშენება
 აშქვეყნად არ უწერია.

ეხლა შენ საღ წარ, მგოსანო,
 კვლავ კიღევ გვითხარ მზიანი.
 თავს დაგხაროდეს გაშლილი
 შენი ღეპა და ღვიანი.

შენ, მყინვარწვერის არწივო,
 ცას მოგლეჯილო მთვარეო,
 აღსდექ, იხილე სამშობლო,
 შენი ელგუჯას მხარეო.

წავიდა მწყემსად

წვიმდა და ღამეს ათევდა, ამ დროს
ფარეხთან ჰუცული გამლილი ფარა.
ნაბადმოსხმული უძილო სანდო
კავს დაყრდნობოდა და იდგა წყნარად.

სულის სიმშვიდე ველარც აქ ნახა,
მოსდევს ფეხდაფეხ წყურომა და გესლი.
მასში გაერთდა კარგი და გლახა -
ბატონიშვილი და ვილაც მწყემსი.

არ გაჲყვა „კეთილშობილთა“ წყებას;
იგი სხვა სულით მოვარდა ხევში.
აილო კავი, თექა და მწყემსად,
ვით სხვა მოხევემ, გასწია მთებში.

პ ა ე მ ა ნ ი

როცა ღამის ზეწარი
განთიადმა დანია
და ღაულარდი გაოინა
ცხზე ფიანტაზივით,
დილით მხარე ფხოვეთის
მზემ სხივებში განვის
და ჭალარი მყინვარი
ჩანდა ვერცხლის თასივით.

ამ დღეს საპატიონო
აქ, არაგვთან, მე და შენ
ეს ათგილი ცირჩიეთ,
კლდეს რომ ტალღას აჭაპებს.
რა ვიცოდით, თუ რომ გზა
აქეთ ჰქონდა დედაშენს,
პატიონზე მოგვისწრო
სიყვარულის ყაჩაღებს.

შეგრცხვა დედის, ანთებულს
სიყვარულის კვეთითა
და ეგ გული იშ წუთში
იმას აღარ ფიქრობდა,
რომ სულ მუღაშ კოკა წყალს
ვერ მოიტანს, ვერ ზიდავს
და იმ გზაზე გატყდება,
რომელ გზაზეც მიგქონდა.

ი ჰ ა ღ ო

აი, ისევ შეგხევდი, შენახე
და ვამაყობ შენით, შზალო.
ვაჟუკაცური შენი სახე
რომ ამშვენებს ბარისახოს.
არ ვზოგავდი შენთვის ამ გულს,
შენ გეტირფოდი და ვიწვოდი.

ფხოვეთიდან გადაკარგულს
 თუ შეცდილი, რა ვიცოდი.
 უინ იტყორა უწინ ფხოვეთს:
 წალხს წინ უძღვის თორმეას შვილი.
 შენ გალაღებს, როგორც ყოველს,
 ცა მტრედისფრად გადაშლილი.
 მთის აღათი ღასწული, ღაჰებე,
 მთებში ჩაჰეკალ, როგორც ქისხვა,
 აღიადე მხოლოდ საქმე
 ფა მშობელი ხალხის წინსვლა.
 ქალს გადიდებს საბჭოეთი,
 სატ გამხმარი ხეც კი ხარობს.
 შენ გახარებს ფლეს ფხოვეთი
 რა ფხოვეთი შენით ხარობს.

უ ჩ ი ნ ა რ ი

გულს რალაც ეცა ნაუცბათევად,
 შეიძრა შეგ ღა კარი ღახურა.
 მირჩევს ამ ლამის თეთრად გათევას,
 რომ ერთი ღამე ვყავდე მსაწურალ.

ვფიქრობ ღა მაინც ვერ გამიგია,
 თუმც ნათელია ღა გასაგები.
 რა უნდა წეტავ? ალბათ, რიგიანს
 ამბავს მპირდება ამბავსაქები.

დრო, როგორც ფურცელს, ღამეს გადატყვევა
ჰვლავაც უკითეს დღეთა თავზე ბეჭდებით
ბედნიერი ვარ, რომ ამ ხასაში
წილად მხვდა მოსვლა ღა დაბადება.

თენდება. ველზე სიომ მობერა,
მოვარე დაწილა ცაზე მთებს იქით
და ღამეს უსმოდ ემშვიდობება
გულდაწყვეტილი, როგორც ბესიკი.

1940 წ.

როცა რუსთველის გამგირზე გრეჩავ

ვიცი, შენც გიცვმს გული ჩემსავით
და ვგრძნობ, რომ ეტრუ ღლევანდელ
მხედარს,
ვიღაც ფხოველი და ნამწყემსარი
როცა რუსთველის გამზირზე გხედავ.
ვეღარ დამალე, ალბათ, სურვილი
და წყურვილივით შეიგრძნე სემაც.
დგები კაცივით ფიქრებბურივილი
და გამზირს გასდევს ფოთლების რხევა.
ქირს გაგეშლება წირდილი მერდინალ
სულთა სივრცეში რტოებატანილს.
შენ მაინც სდუმხარ სმავაკმენდილი
ღა ხედგაჩენას ნანობ ჭადარი.
როცა უფრებ ამდენ სიამეს,
ამდენ სიხარულს ღა შეძანებას.

న్నిత్య న్నియ్యేన్డా అభామింగి,
 శ్యేన్డ శ్యేగర్ల్యేబోండా త్వాపల్లిస అశ్వేణా.
 గపిందన్న ప్రథమ్మర్ ఏపిస త్రింపుండా శ్యుణ్ణేవ్య
 ర్యా శ్యేర్న్ నీర్గి క్రార్ నీస గాంప్ ఏప్ ఆ,
 నొమ ర్లాంగ్ శ్యేన్ బ్యా హ్యోన్ నీ గ్లూణ్ ఏపిస
 ఆస్ ఆ ప్రాఫ్ల్యూర్ హ్యేవ్ నా ర్యా గాంప్ ల్యేప్ ఆ.
 ప్రిప్రి, ఏర్తి గ్ల్యోప్పిస, ఏర్తి గిల్లిప్ప్రెప్పిస,
 శ్యెంప్లాండ ఏర్తిస నొర్తింప్, ఏర్త ఫ్రిస్ ర్స
 గ్లాన్ శ్యేప్,
 నొమ సార్ట్రైంగ్ ఏస ఆమ తింగ్ ల మిచ్చాంగ్
 శ్యేన్డ గ్రేర్ ఏపాస క్రాప్రి ర్యా మంక్యాలాంగ్.
 మ్యా ప్రాందన్నింప్ శ్యునీంగ్ ఏస నొత్తింప్ శ్యెంతా,
 ఎంబాత, స్థ్యువాప్ ఱ్యుందన్నింప్ ఏస మాస హ్యేమిసావ్ ఏస,
 నొప్రా ర్ల్యాస్ త్వెంగ్ ఏస గామింగ్ శ్యే గ్రెండాప్
 ప్రింప్ ఫ్రెంప్ ఏంగ్ ఏస నొమిప్ప్ ఏమిసాగ్ ఏ.

1941 బ.

ఔ న క వ ి

క్రైప్రాంగ్ శ్యుర్ శ్యుంగ్ ఏస శ్యుర్ శ్యుంగ్ ఏస,
 ల్లాంగ్ ఏ శ్యుప్పిస గ్లూణ్ ఏతా,
 మితిస ప్ర్యోరింగ్ శ్యుప్ప్రోర్ దింగ్ నొమింగ్ ఏ,
 గాన్ ప్ర్యూర్ శ్యుప్ప్రోర్ శ్యుంగ్ ఏతా,
 క్లోగ్ ప్ర్యుల్ ఏస ప్రెంగ్ శ్యుప్ప్రోర్ శ్యుంగ్ ఏ,
 క్లోగ్ ప్ర్యుల్ ఏస ప్రెంగ్ శ్యుప్ప్రోర్ శ్యుంగ్ ఏ.
 ప్రాంగ్-ప్ర్యుల్ ఏస ప్రెంగ్ శ్యుప్ప్రోర్ శ్యుంగ్ ఏ,
 శ్యోప్పి మ్లిన్ ఏస హ్యుప్ప్రోర్ శ్యుంగ్ ఏ.

გუშინ დაწილი მტრისაგან
 დღეს სიხარულით დგებოდა.
 ჩერდასა მშობლოს მთა-ცელებს
 ადაყალ გაღმოსცეროდა.

გარაფრული წუღალვის ჴცვენი

ჩადგა ცხოველი სისიცლე ხეში,
 ურუოლადაკრული კუნოების ფეთქვა.
 ღასკრნენ. კუირტები თებერვლის თვეში
 ღა ცვავილისმაც იფეთქეს ერთხმალ.
 ასე გულლალა არასძროს მოგარა
 ეს იჩვიათი ბუნების სიბრძნე
 ღა ახლაღიადვრულ სიცოცხლის ძალა
 მეც გაზაფხულის დღესავით ციგრძენ.
 ციგრძენ სიშაგრე გამრჯე ჯუნისა,
 მტკვრის სურნელი ღა ლელვა ტალღების.
 მოსჩანს ბალები ორთაჭულისა,
 როგორც გაშლილი ბაირალები.
 ღა ხურალვის ტყე ღლის მთაფლავი,
 მკერდზე რომ იფენს ლალს ღა მინანქარს
 გულში ჩაუკრავს ცხრა ქმის სალღავი
 ღა ცხრა ვაუკაცის სახელს ინახავს.
 ჰყვავის მთაწმინდა, ცელქი ნიავი
 თბილისის ქუჩებს ეპლერსება,
 რომ სასიმღეროდ სიტყვა ფრთიანი
 გამოაფინონ ლექსის მჯყერსებმა.

ენთონ მარადუამს ჩვენი გულებიც
და სამშობლოსთვის დადნენ ცვილებადა
როგორც ეს სითბო მარად ულევი
და გაზაფხულის აცვაცილება.

1941 წ.

ლამე იყო, მთას ესურა ბინდი,
ნისლი იწვა საბადურის ცელზე,
ლრუბლიან ცას მთვარე, როგორც
შშვილდი, ლრუბელს შიგნით ეხვეოდა ყელზე.

უ ც ე ნ ღ ძ

სადა ხარ, საით წახველი
საო ეგებები ღილას.
შენი ხაჭიავი მგონია
ცაზე ლრუბლების ფთილა.
რომ მეთქიცა შენი სახელი
ცერც კი მოვასწარ, ქალავ.
შას შემღებ მაგ უკნს ხატებას
გულის სილრმეში ვაღალავ.

10. I. 1941 წ.

მცხოვრის გლოვაზე

კარგო, ერთმანეთს შევხედით მცხვეთაში,
ცნაწეთ შტკვარი ღას ზღვას ვლოდეთ.
როგორ ვესტუმრეთ ამ ზღვას მე ღა შენ,
ალბათ, ჩვენს გარდა არვინ უწყოდა.

ქაფმორეული მღინარე გრევდა,
ნავში მოსჩანდი, როგორც ციცარი.
შენ გაიცინე ღა შენთან ერთად
წყალშა წაილო შენი სიცილი.

მივჭროდით ქვევით, ფიჭრის ამალა
თან აგვედივნა უწყინარ ღალდებს.
ეს სიყვარულის გული პატარა
ნავთან მიჰეონდა შდინარის ტალღებს.

ტყბილი საუბრით მტკვარი გაფცურეთ,
შწვანე მღელობე ნლობით გაველით.
ქროდა ნიავი, ვით სხვა ასულებს,
თმა ჩამოგმლოდა სამი მტკაველი.

აღარ გვწადა „ზღვის“ ღატოვება,
წყლის შეყვარებულს უწყოდ გრცხვენოდ
როცა ფიჭრები ფიჭრებს მოება,
მივხედით, თბილისი რომ მიგველოდა.

მივხვდით, რა ღრმაა ხალხთა ცხოვრება
და უსასრულო სურვილი კაცთა.
გავა დრო და კვლავ გვემახსოვრება
აქ შეძენილი ქვირთასი ვანცდა.

თუკი ოდესმე გადაგავიწყო,
როგორც სიზძარი გულმავიწყ რაინდს,
თუ ერთურთისკენ წელს არ გავიწვლით,
ჩვენი აქ ყოფნა დარჩება მაინც.

მზე გადიხარა, დაგრძელდნენ ტანით
გაშლილ მღელობე ჩირდილები ხეთა.
უით პომპეუსი - სალამო უამი
ჰტკვარის წეობით მოადგა მცხეთას.

1940 წ.

რეაციურის სიყვარული

აქ ვიზრდებოდით, ამ მაღალ მთებში,
უწყინრაღ ორი პატარა ლალა.
გევრჯერ მინახავს ბროლის თელშივით
კლდეს შემსხვრეული არაგვის ტალღა.
მისი დუმილი ახლაც თან მომდევს.
ჩვენ არ გვენახა იმისი მსგავსი.
ჩვენ იქ ვეტრფოდით ერთიმეორეს,

გვეატებობდა ლალი მერცხლების ფრენა,
შეგეს შევხაროდით ბავშვური ლხენით,

თითქოს ვისწავლეთ ჩვენც მათი ენა

და ვჰიციციკებდით მერცხლების ენით.

წავიღნენ წლები, გევრჯეო ტყეშალთან

გვერდი შეხვედრა, უხმო, ფარული,

და ერთმანეთის ჩვენ რა გვემართა

თუ არა ტრუობა და სიყვარული.

მოფრინდებოდნენ მერცხლები ისევ,

მწვანით შემოსილ წეზე სხლებოდნენ,

როცა ხედავდნენ ჩვენში სხვა მიზეზს,

ისევე უკან ვალრინდებოდნენ.

მაინც ვუყვარდით და სიძულვილი
ბოლომდე ჩვენი მათ არ ინდომეს.

მათ სიყვარული იმ ჩიტის გულით
თან გადაჰქონდათ მუდამ ინდოეთს.

მაშ თუ ფრინველმა იცის ტრუიბლი
და სიყვარულის უკვდავი გემო.

შე ხორ ჭაცი ვარ, ადამიანი,
რად არ შიყვარდე, მითხარი, ჩემო?

14. IX. 1940 წ.

შატილიდან ჯარეგამდე

ცა მოიწმინდა, შეწყდა ავდარი,

მთის ნიალვარმა მთები ჩარეგვა.

მიჰქერის მანქანა, როგორც აფთარი,

თუმცა შორსაა კიდევ ჯარეგა.

მიჰქერის, დალია გზათა ხვეული,
კალასასვლელი ისევ გრძელია.
შთები, ტანთ ნისლებშემოხვეული,
ოხოვში სკინის რაშს გაღმოსცერიან.
შეგ არის მძლოლი - ხევსური ვაუა -
შვილი შატილელ ქათელაურის.

მკლავი - ლომისა, კუნთები კაჭის
აქვს და ასტეხა მთებში ხმაური.
მიჰქერის მანქანა, როვორც ალთარი,
უკან დასტოვა კლდენი ჯარებაზ.
ცა გადიწმინდა, შეწყდა ავღარი
და ფანჯარიდან მოჩანს ჯარება.

12. XII. 1940 წ.

ეცაც დაწერია და პოეზია

ალბათ ლექსებში მთები დასეტიპა
და ლექსალ იქცა თითქმის ყოველი.
აქ ქველთაგანვე ხმალსა და სიტყვას
ხომ ერთნაირად ხმარობს ფხოველი.
ქარი ქრის ისევ, არაგვის ლელვა
ატეხილ ჟალებს შემოესია.
ალბათ, როგორც მე, არავის სჯერა,
ესეც ლექსია და ჰოეზია.

11. III. 1940 წ.

გ ა გ ა ფ რ უ ღ ი

+

ვხედავ, რა ტკბილათ ღილა გვეპხლა,
 გული უსაზღვრო ღწენით გვევსება.
 სულში აყვავდა გრძნობის სიახლე
 და სიხარული იქცა ღექსებად.
 გაზაფხულისგან დაწლებული
 ზამთარს თან გაჟყვა სუსტი უშვერი
 და თვალშუულნა ქალწულებივით
 დგანან ნაძვებთან მორცხვად ნუშები.
 თითქოს გახსნილი ჰქონდეთ ღილები
 და შათი ქცევაც იჯოს თავნება.
 გატიბუტივით გაღარღილები
 მხრები გაშალეს იასამნებმაც.
 დიან დღეები გაზაფხულისა
 ზღვაყვავილების ეჭხის მოფენით,
 და აღმაფრენით სავსე გულისა
 დგას სურნელება და მატკბობელი.

21. IV. 1941 წ.

ნევსურ ქადა

დრომ არ იცის გზაში მოცდა,
 ლოდინი და სიმარტოვე.
 შეგვრჩა მხოლოდ თითო კოცნა
 და შშვიდობით, გტოვებ, გტოვებ...

იქნებ საღმე მტერმა დამცეს,
 იქნებ საღმე დავილუპო.
 მსურს მოვაცწოთ, ამ წლის დამღევულ
 თავს გვირგვინი დავიხუროთ.

თქვი, ვაჟიყას მხოლოდ შენთვის
 გული ჰქონდა მზისებრ წმინდა.
 ვაგთუ ეს ფიქრი შვების
 უგზო-ლკვლოდ გაგვიფრინდა?

10.VI.1941 წ.

შემოდგომის დიდა

†

ცამ გულ-მკერდი გადაიხსნა,
 ირიჭრაუა ლურჯად,
 ათამაშდა სიო ველზე,
 ლალად ჰელცნის ლოიას.
 აგერ ვაზებს დაურბინა,
 თითქოს იოხუნჯა,
 შემოევლო მტევნებს ყელზე
 და სარს ჩაეწვია.
 გზებზე ატყობის ფეხის ჩქამი,
 ცენახებში მღერა,
 შემოდგომის სიღიპლე
 და ბარაქა ჰელცნი.

ვიშ, ერთმანეთს ეჭიბრება
 ციალა ღა ვერა,
 გულს უხარებთ ღლე ღიალი
 და საშშობლოს ხვაცი.
 ღილი არის პატარების
 აღტაცება, განცდა,
 ხარობს გული ღა სიმღერა
 ირგვლივ შოეფინა.

ღროა უკვე წილია კრეფის,
 აღარ უნდა ღაცდა,
 თითქოს ამ ხმას იმეორებს
 შემოდგომის ღილა.

ცამ გულ-მკერდი ჟაღაიხსნა,
 ირიურია ლურჯა ღა,
 ათარებაშვილი სიო ველზე,
 ჟაღალი ჟეკოცნის ღვიას,
 აგერ ვაზებს ღაურბინა,
 ისევ იოხუნჯა,
 შემოევლო მტეცნებს ცელზე
 და სარს ჩაეწვია.

გოგიერთ ქადიშვილის გოგიერთი ვაჟიმვიდიდისაგან

ცერ მხედავ, ნატრობ - ნეტავ მაჩვენა.
არ გიძლებს გული და, ვიცი, დარღობ.
გახარებს მხოლოდ ცალკე დარჩენა,
ჩემზე ოცნება და ფიქრი მარტო.

და თუ შეგხვდები საღმე ქალაჭები,
თუმც მაგ ოცნებას მაინც არ ჰუანტავ.
ჰერალდ სიყვარულს და მაგ მაღვაში
შენ ქალის დიად ბუნებას ხატავ.

თუ "არ გიყვარვარ, მაშ რაღად მეტროი,
თავს სიყვარულით რაღად ატყვევებ.
სწორე მითხარი, ვიდრე სხვა შეტყვის,
მე მატყუებ თუ შენს თავს ატყუებ?

გ ა მ თ ა რ ი

ცა იცლება ფილებად,
თოვლნარევი დარია.
ნეტავ, რა ეფიქრება,
ნეტავ, რამ გადარია.



ჭერცხლისფერ მოციალეს,
შეხეთ ამ ცელქ ფანტელებს.
მეეზოვის ცოცხივით
ცას ჰეგვის, მიწას ამტვერებს.

ჩამოთვება, ჟულიანამ
მთებზე თავი იჩინა.
დაზამთრება გვახარა
პატარების ყიფინამ.

გულში ლხენა ჩამდგარა,
გულში ჩადგა ხალისიც.
ჩვენი ქვეყნის ზამთარმა
დაზამთრება არ იკის.

5. I. 1941 β.

ხარება და გოგია

ბადაბა

ხარება და გოგია ცნობილი რევოლუ-
ციონერები იყვნენ. 1905 წლის შემდეგ
რეაქციის მოციქულებს თავზარს სცემდ-
ნენ. ათი წლის განმავლობაში მათი
თავშესაფარი საბადურის ტყე იყო, სა-
დაც მტარვალებთან ბრძოლის დროს დაი-
ღუპნენ.

I

თქვენი გული ზღვა იყო,
ზღვა ტყვიერის ჟექითა.
თქვენი ფიქრი სხვა იყო
და სხვა ცეცხლი გეკიდათ.

ორი ძმად შეფიცული -
ორი გულის იარა.
გადიქეცით მშობლის და
წალხის გულის ტროიალად.

ბრძოლის ცეკვლით იწვოდით,
მტერს კი შიში ზარავდა.
თუმც სიკვდილი ვერაგი
გდარაჭობდათ კარაცთან.

მაგრამ იყო ურლვევი
კლდისეპრ თქვენი ჰირობა.
გწამდათ, გულის გუმანი
გიქადოდათ გმირობას.

მტარვალს შეხვდით ვეფხვურად,
მტარვალს გზა მოუცარეთ.
თქვენი რაინდობისა
ხალხი იყო მოწამე.

სევდით დამძიმებული
მიღიოდა დრო გვიან.
გასძახოდით ერთმანეთს
ხარება და გოგია.

ცას გაეცრა ხალებად
ორუბლის ღანატოვარი.
მთვარე მთებს გადაევლო,
როგორც მუნჯი შსტოვპრი...

გასძახოდი ხარება,
რისხვის ღამათოვარი.
არსად ჩანდა გოგია,
მოძმე ღა მეგობარი.

გასძახოდით და ისევ
მიღიოდა დრო გვიან.
მტერს ვერ შევუშინდებით,
რაც მოგვივა, ძოგვივა...

II

ლამე გალარესდა,
როგორც სევდა ბესიკის.
მთვარე, თითქოს მოღლილი,
გადიხარა მთებს იქით.

დაიღალა გოგია,
დაოსილი დაეცა.
საბადურთან დალია
სული, მტერს არ გაექცა.

მოკვდა, როგორც შეშვენის
ხალხის მოჭირნახულეს,
დიღება, ვინც გმირობას
სისწლით დაიმსახურებს; . .

ხარება მწუხარებით
დაეკონა გოგიას.
დაეკონა ღა მიწის
დაყრა ფიქრად როდი აქვს.

ეტყვის: - სანამ ცოცხალ ვარ,
სანამ ვხმარობ იარაღს.
მტერზე შური ვიძიო,
მრჩება გულის იარაღ.

სანამ სული მეძახის
 ფიქრი ფიქრს ეტანება.
 სანამ ჩემი ფარ-ხედალის
 შევძლო შებმა, ტარება.

მანამ ხალხთა ნუგეშით
 სულ წინ იცლის ხარება.
 მწამს, დრო მოვა, სიკეთით
 მამულს გაეხარება.

ფიცით დაემშვიდობა,
 გრძელებით და სიყვარულით.
 ჩაგრამ იქვე დაიცა
 მტრისგან ტყვიალაკრული . . .

ახლა, როცა ამ მთაზე
 მე მგზავრიდით გავივლი.
 მაგონდება გმირები,
 როგორც სულის ყვავილი.

იყვნენ, კლდისებრ ფეხბოდნენ
 ტყვიის ცეცხლში წინადა.
 სხვა რა უნდა რგებოდათ
 მტერთან ბრძოლის წილადა.

15. I. 1941 წ.



၁၅၆၀၃၀	၂၄၂၅၆၈၃၈၂၀
၁၁၂၄၂၇၀၀၀၀	
၁၉၃၀	၁၀
၁၁၂၄၂၇၀၀၀၀၀	၁၁
၁၉၃၀	၁၂
၁၁၂၄၂၇၀၀၀၀၀၀	၁၃
၁၉၃၀	၁၄
၁၁၂၄၂၇၀၀၀၀၀၀	၁၅
၁၉၃၀	၁၇
၁၁၂၄၂၇၀၀၀၀၀၀	၁၇
၁၉၃၀	၁၈
၁၁၂၄၂၇၀၀၀၀၀၀	၁၉
၁၉၃၀	၂၀
၁၁၂၄၂၇၀၀၀၀၀၀	၂၀
၁၉၃၀	၂၁
၁၁၂၄၂၇၀၀၀၀၀၀	၂၂
၁၁၂၄၂၇၀၀၀၀၀၀	၂၂
၁၁၂၄၂၇၀၀၀၀၀၀	၂၄
၁၁၂၄၂၇၀၀၀၀၀၀	၂၅
၁၁၂၄၂၇၀၀၀၀၀၀	၂၆
၁၉၃၀	၂၇
၁၁၂၄၂၇၀၀၀၀၀၀	၂၈
၁၉၃၀	၂၉
၁၁၂၄၂၇၀၀၀၀၀၀	၂၉
၁၉၃၀	၃၀
၁၁၂၄၂၇၀၀၀၀၀၀	၃၁
၁၉၃၀	၃၁
၁၁၂၄၂၇၀၀၀၀၀၀	၃၂
၁၉၃၀	၃၃
၁၁၂၄၂၇၀၀၀၀၀၀	၃၄
၁၉၃၀	၃၅
၁၁၂၄၂၇၀၀၀၀၀၀	၃၅
၁၉၃၀	၃၆
၁၁၂၄၂၇၀၀၀၀၀၀	၃၇





ରେଧାକ୍ଷଫଳରୀ ଲ୍ଲ. ୧୮୨୦୯୭
ମୁଖ୍ୟପାଠୀ ମ. ୩୨୭୧୯୭
ମୋହନାର୍ଥାଲ୍ଲି ରେଧାକ୍ଷଫଳରୀ କ୍ଷ. ୩୨୬୧୦୭୩୦୯୦
ପ୍ରକାଶକ୍ତିକୁରୀ ରେଧାକ୍ଷଫଳରୀ ଡ. ୮୨୮୩୧୯୭
କୃତ୍ୟାକ୍ଷଫଳରୀ ତ. ଯୁଗମପ୍ରକାଶାଳାୟୀ



ს. ბ.—3904

ჩანარდა წარმოებას ა.12.85 წ. ხელმიწერილია საბეჭდად 27.03.86 წ.
უ 08819. ფორმატი $70 \times 100^{1/32}$. საბეჭდი ქაღალდი № 1. გარნი-
ტურა დუმპაძე. ბეჭდვა ოფსეტური. პირობითი ნაბეჭდი ფურცე-
ლი 1.8. საალრიცხვო-საჭამომცემლო ფურცელი 1.45 პირობითი სა-
ლებავებატარება 2,42 ტირაჟი 2 000 ეგზ. შეკვეთა № 406

ფასი 20 კპ.

გამომცემლობა „მერანი“, ჩუსთაველის გამზ. 42. თბილისი. 1986



ПХОВЕЛИ ВАЖИКА ИОСОФОВИЧ

ГОРЖУСЬ СВОЕЙ РОДИНОЙ

Стихи

(На грузинском языке)

Издательство «Мерани», пр. Руставели, 42

Тбилиси, 1986



თბილისის ოკერატიული პოლიგრაფიის სტამბა
ვაჟა-ფშაველას გამზ. 104
Тбилисская Типография оперативной полиграфии
пр. Важа-Пшавела 104.

515/7

